კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვეფ ეტრელელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 29

2020

მთ. რედაქტორი **კოტე მელაშვილი**
მწერალი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2020**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-836-6 (29 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„ბულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელის დიდი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითაა გაჯერებული. მისი პოეტური სამყარო, როგორც მისი ხმა, მიუხედავად ჩვენ მიერ არაერთხელ იქნა უკვე აღნიშნული, უაღრესად თავისებური კოლორიტია, თითქმის სრულიად მოკლებულია ხელოვნურ შეზღუდულობას და მონოტონურობას.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ჩვენ ვგრძნობთ საქართველოს ისტორიული წარსულის იმ ვრცელი ფილოსოფიური ფიქრისა და განსჯის მრავალწახნაგოვანი დისკუსიის შესაძლებლობას, რომლის ფერადოვან სივრცეებსაც აღტაცებაში შეუძლია მოიყვანოს სულიერებას დაწაფებული მკითხველი. გრანდიოზუ-

ლია კოლხი პოეტის – ვაჟა ეგრისელის სულის ფსკერში დაფარული მარგალიტების ელვარება, ასევე გრანდიოზულია კოლხური პეიზაჟების პოეტურ-ფილოსოფიური „რეჟისურა“, სივრცეებისა და ლირიკული გმირის უნატიფეს კომპოზიციურ ჩარჩოებში მოქცევის მაგიური ხელოვნება. სწორედ ესაა ჭეშმარიტი ტალანტი და სწორუპოვარი პოეზია. უნიკალური მხატვრული ფანტაზიის წყალობით და სასწაულებრივი შემართებით მიემართება გზა სულისა და გონების ლაბირინთებისაკენ.

პოეტი ღრმად ჩასწვდა ლირიკული გმირის კეთილშობილურ გრძნობას, გონებას, მისწრაფებას, მის კეთილკაცობას, კაცურ-კაცობას, კეთილსიტყვიანობას, რამდენიმე სიტყვით ძველ ნათელს ახალი სხივები მოაფინა და მკაფიოდ გადმოგვცა თავისი იდეური პოზიცია. პოეტი ძალიან ფრთხილად გვიჩვენებს სულის კვდომისაგან გათავისუფლების გზას, ეს არის სინათლისაკენ, სიკეთისაკენ სწრაფვა და ყოველი სულდგმულისადმი კეთილგანწყობა.

ვაჟა ეგრისელის გონების თვალი ხშირად ჩერდება მარადისობის, დროის დინების, ყოფნა-არყოფნის პრობლემებზე. დიდი და უსაზღვროა პოეტის სიყვარული საქართველოს სხივნათელი წინაპრებისადმი:

*

„კელაპტარივით ჩამქრალ დღეებს
ისევ ანთებენ
ლაჟვარდოვანი სვეტ-თაღები
და გუმბათები.
კოლხური ღამე –
გრძნეული
და სიზმარეული –
თუთარჩელათი ისევ შეუვლის –
არყოფნის მაღალ აივანზე
დამსხდარ აჩრდილებს“.

წარსული ეპოქების ამსახველი ლექსებით, რაოდენობრივად, თვისობრივად მდიდარია ვაჟა ეგრისელის პოეზია: ყოველი მათგანის განხილვა-შეფასება ერთობ ძნელია...

„თითოეული ლექსი საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ამაღლებული, მიმზიდველი და მხატვრული ფერებით გადმოცემული, რომელთაც ორიოდე სტრიქონით შეუძლიათ თვალწინ გადაგვიშალონ ათასწლეულთა ღელვანი“. (შ. გულორდავა, პროფესორი.)

„ვაჟა ეგრისელის ლექსების სტრიქონები მშვილდისრადაა მოზიდული, საქართველოს მტრებს გული რომ განუგმიროს“. (გიორგი რატიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.)

ლექსში „საქართველოს ისტორია“ პოეტი წერს:

*

„ათასწლეულთა ოკეანიდან
ამოვიყვანე და ისტორია
ხელში მიჭირავს კვლავ ლაყუჩებით,
მოწვეთავს ცრემლი...
წინაპართა ცრემლის აბს ვყლაპავ,
მოურჩენელი ტკივილების გასაყუჩებლად.“

ისტორიული რეალიები გაიელვებენ ლექსში „კრწანისი“, სადაც ვკითხულობთ:

*

„მტკვარი უჭირავს ორლესულივით,
მკერდზე აყრია არაგველთა ჯაჭვ-მუზარადი
და განისვენებს კრწანისის ველი, –
სამასი წლის წინ, რომ გამოჭრა
ღალატმა ყელი,
სწორედ ის სისხლი ყაყაჩოებს
ისევ ღვარად სდის“.

საქართველოს ისტორიული წარსულის ტრაგიკული ფურცლების გახსენებით პოეტი გვამაღლებს, გვაფრთხილებს.

ვაჟა ეგრისელის მხატვრულ სამყაროში ისე გამოკრთის ტრაგიკული ინტონაცია, როგორც მზის სხივი ღრუბლებში:

*

„წარსულის დღეებს ფიჩხებივით
ერთად ვაგროვებ
და მზეს ვუკიდებ ასანთივით
და სულს ვუბერავ –
დავიწყებისთვის წინაპრები არ მემეტება.
ჩემი დარდია
შავი ღრუბელი,
უხსოვარ დროში –
წუხილად რომ დაეხეტება“.

პოეტის გამოცდილება, პოეტის განცდა, მისი შთაბეჭდილებები უზარმაზარია და ღრმა მგრძნობიარობით ხასიათდება.

„ვაჟა ეგრისელი ეპიურად მოაზროვნე პოეტია, ამდენად ქართული (და არა მარტო ქართული) პრეისტორიული თუ ისტორიული სახეები: აიეტი, მედეა, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, გუბაზი, წათე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ცოტნე დადიანი და სხვა მის დიდ პოეზიაში გრანდიოზულადაა გამოკვეთილი“. (თედო დუნდუა, პროფესორი.)

ისტორიული წარსულის შავბნელი სურათი ხატოვნადაა წარმოჩენილი პოეტის სტრიქონებში:

*

„ქართვლის დედის ვისმენ კივილს,
ჩამოხეულს ვჭვრეტ მის საკინძს,
და აღვიქვამ ბნელში ელვას,
ვითარც შაჰის ხმლის გაკრთომას –
თავზე პაატა სააკიძის“.
ან:

*

„რკინის მკვნეტავ და საცრისთვალება –
ჩვენ დიდ წინაპარს
თავზე მუმლივით
ეხვია მტერი ავი, ურჯულო.
მოკვდა და...
მიწის ცივ სიჩუმეშიც –
ხელში ფარ-ხმალი აქვს ჩაბღუჯული“.

ვაჟა ეგრისელის წიგნში ჩვენი ქვეყნის ტანჯული, მაგრამ გმირული წარსულისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსია დაბეჭდილი. მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ: „წარსულის ლანდი“, „ციხის ნანგრევთან“, „ნაციხარი“, „კრწანისი“, „საუკუნენი“, „მეფე დავითი“, „ქეთევან დედოფალი“, „ბედაურის თავის ქალა“, „ბახტრიონი“, „ქვათახევი“, „ქართლის ცხოვ-

რება“, „მარტყოფის ველი“, „ანანური“, „ნოქალაქევი“, „ასე რატომ ზანზარებს“, „წარსულის ქარი“, „კრაწინის ველი“, „ეჰა მამულო“, „ეჰ, ისტორია“, „რუხის ციხესთან“, „ისტორიებში თარიღების ისმის გოდება“, „ქადილი“, „ველი კრწანისის“ და ა.შ. დიახ, რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი, ლენგთემურებმა და შაჰ-აბასებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანავეს და მაინც ჩვენ დავრჩით, გამოვცოცხლდით, გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღამაჰმადხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა ქვაზე არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, წელში გავსწორდით, გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს...“

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ ვაჟა ეგრისელის ლექსი:

*

„შუაღამისას წამოდგება ლანდი
სამასი
ნაომარ ველზე

და... დილამდე დაიარება.
და... ხევსურივით ასგან ნახმლევ სახეს
თბილისის –
დღესაც ატყვია კრწანისი, როგორც
ყველაზე დიდი ნაიარევი“.

სამასი არაგველის მამაცობა, წარუვალი გმირობა, კრწანისის შავი ტრაგედია ასე შთამბეჭდავად დაგვიხატა ვაჟა ეგრისელმა. ამ სტრიქონების კითხვისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს დიდი გრიგოლ ორბელიანი:

„აი სამასნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი
მეფის შეწევნად და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი,
თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვჰსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი!
და გარდიწერეს პირ-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს.
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვთა სიმრავლეს!
შესძახეს... გაჰფანტეს, მარამა, ზედ თავიც თვისი დააკლეს...

ფიცი ვაჟკაცთა წმინდა არს... მათაც სიკვდილით შეფიცეს!

გმირნო, მამულის მადიდნო თქვენა ხართ ჩვენი დიდება!

თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა!

თქვენთა სახელთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,

მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!“

ვაჟა ეგრისელი სულიერად ენათესავება გრიგოლ ორბელიანს და მისი თვალწარმტაცი პოეზიიდან ისეთი სტრიქონებიც შემოგხვდებათ, რომლებიც გულის ჭრილობიდან მომდინარე სისხლივით ტორტმანობს და ყივის:

*

„უძილო ცის ქვეშ ღამენათევი,
ჩემი სიცოცხლის ნაფიქრ-ნადარდი.
ჩემი მწუხარე სიმღერის მტკვარი.
ქართლის წარსულით ამღვრეული,
                და მაინც მტკნარი,
ჩემი თბილისის გულზე გადადის“...

პოეტს ღრმად სჯერა და სწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნათელი ფურცლები სისხლით დაწე-

რეს ლომგმირმა წინაპრებმა. პოეტი მოხიბლულია სამასი არაგველის გმირობით. ეს მჟღავნდება პოეტის ლექსის ლირიკული გმირის არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ან პლასტიკური დახასიათებისას, არამედ მოქმედების ზოგიერთ მეორეხარისხოვანი კომპონენტის ხატვის დროსაც:

*

„აქ არაგველების ყიჟინა კვლავ ისმის,
ობელისკს,
ვით მახვილს, კვლავ ბღუჯავს
კრწანისი.
მოდგმა ხალიბების,
ხეთების,
ჯიქების –
აქ წვანან
და უდგათ მტრის სისხლით აღვსილი –
ყაყაჩოების ფერადი ჭიქები“.

ამ ლექსში მამულს შეწირული ხმების ძახილი მოისმის, და როდესაც ამ სტრიქონებს ამბობს პოეტი, იგი რწმენისაკენ ლტოვის ნერვს ეხება და მზადაა მსხვერპლის გასაღებად.

კრწანისის ტრაგედიით გულშეწუხებულ პოეტს ხშირად აგონდება ღირსეულ მამულიშვილთა განცდები, მღელვარე ფიქრები. გოდებს ნაღველმორეუ-

ლი და თავისი მინიატურული ლექსით იმდენს გადმოგვცემს, იმდენის ასოციაციას იწვევს ჩვენში, რომ უნებურად მოწმენი ვხდებით და ცხადად ვხედავთ საქართველოს გმირული ისტორიის სისხლიან, ტრაგიკულ ფურცლებს:

*

„არმაზისა და ბებრის ციხეზე
უცებ ავარდა ალი –
კოცონის.
მტკვარში მიმოდის ნავი ქარონის.
თბილისს ღიმილი პირზე აშრება.
– რა მოხდა?!
– მცხეთას ცხენთა თქარუნით
ჩამოუქროლეს ყიზილბაშებმა“.

ან კიდევ:

*

„აქ მთელი ღამე ხეთა ჯარი კვირტებს ისროდა,
მტკვარიც ხმალივით ტალღებს იქნევდა
და მერე გვიან –
ჟამს გათენების –
ისე დააჩნდნენ კრწანისის ველს ყაყაჩოები.
თითქოს და ისევ გამოჟონა აქ –
წარსულიდან –
სპეტაკმა სისხლმა არაგველების“.

პოეტს გულისძარღვამდე სტკივა საქართველოს წარსული, მისი საოცნებო და სანატრელი მშობლიური ცა და მიწაა. არაგველების სპეტაკი სისხლის ყივილი მომავალი ცხოვრების ნიშანსვეტებად, ყაყაჩოებად ამოდის საქართველოს ველ-მინდორზე. პოეტის მეტაფორული სახეებით ცხადდება ლირიკული გმირის მიზანი, განწყობილება, სურვილი, ისეთივე ძველისძველი და მარადიული, როგორც სამშობლო, ისეთივე ძველი და პირველყოფილი, როგორც ძვირფასი წინაპრის მზით ანთებული თვალები.

*

„ბნელში სხედან და გვითვალთვალებენ,
ხანდახან ნისლი
ცრემლად ებურვით
და ჩვენს ლოდინში ღამეს ათევენ...
და მნათობები –
წინაპრების თვალებია
მზით ანთებული,
მილიონი წლის სიშორიდან
რომ გვინათებენ“.

მართალი, გადამდები განწყობილებაა, ვაჟა ეგრისელის ესოდენ დიდი სიყვარული საქართველოს ისტორიული წარსულისადმი იმითაც არის განპირობებული, რომ მისი ღრმა რწმენით, წინაპართა მიერ

დაღვრილი მრავალტანჯული სისხლის წყალობით მოვიდა დღემდე ქართველობა, რომ უკვდავია ქართული ჯიში, ქართული გენი.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ კრწანისის ტრაგედია ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი მთავარი თემაა. გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეგვაყვარა კრწანისის გმირები. ნიკოლოზ ბარათაშვილმა შარავანდედი მოჰფინა ქართველი ხალხის წარსულს და ზიზღით განმგვსჭალა მოღალატე სპარსეთის წინააღმდეგ. აქ უნებურად გაგვახსენდება შემზარავი წარსულის ერთი ეპიზოდი.

საქართველოს ორგულებმა, (როგორც ზემოთ მოგახსენეთ) აღა-მაჰმად-ხანს შეატყობინეს, რომ ქართველებს ძალიან ცოტა ჯარი დარჩაო. 1795 წლის 11 სექტემბერს დამპყრობლებმა კრწანისის ველზე სძლიეს ქართველთა მცირერიცხოვან ჯარს. ააოხრეს თბილისი. 20 ათასზე მეტი კაცი ტყვედ წაიყვანეს. ერთი მემატიანე წერს: „ქალაქში ერთი კარით შევედი და შევძრწუნდი, როცა მტრის მახვილით დაჩეხილი ქალებისა და ბავშვების გვამები დავინახე; რაც შეეხება მამაკაცებს, მარტო ერთ კოშკთან დაახლოებით ათასამდე გვამი ეყარა. გოჯის კარს ისე მივადწიე, რომ ერთი ცოცხალი ადამიანი არ შემხვედრია, გარდა რამდენიმე ნაწამები ბერიკაცისა, რომელთა მიმართ მტერს სხვადასხვა ძალადობა ჩაედინა დაკითხვის დროს სად გაქვთ დამალული

სიმდიდრე და ფულიო. ქალაქი თითქმის სრულიად გადამწვარი იყო და ბოლავდა“. ცნობილია ისიც, რომ კრწანისში გამარჯვების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანი თბილისში დარჩა და დაანგრია მეფის სასახლე, თოფ-ზარბაზნების ქარხანა, იარაღის საწარმო, სტამბა, აბანოები, დაწვა ეკლესიები. შეუბრალებლად გაჟლიტეს მაცხოვრებლები. ჩვილ ბავშვებს დედებს ხელიდან გლეჯდნენ. ცალ ფეხში ხელს წაავლებდნენ და ხმლის ერთი დაკვრით შუაზე ჩეხდნენ. ეკლესიის მსახურები ერთად შეაგროვეს, ხელები შეუკრეს და მტკვარში გადაყარეს. თბილისიდან შაჰმა მარბიელი რაზმები შეუსია აღმოსავლეთ საქართველოს. გაძარცვეს და დაანგრიეს ახტალის, ვერცხლის, სპილენძის ქარხნები, რომლებიც ერეკლეს ომარ ხანის შემდეგ აღუდგენია, კაცთმოძულე მტარვალი საქართველოში 9 დღე იმყოფებოდა.

ამაზრზენი გრძნობა იღვიძებს გულში, როცა ნ. ბარათაშვილის იმ სტრიქონებს ვკითხულობთ, რომლებისგანაც ვგებულობთ, რომ ჭაღარა თბილისი სპარსელების ყაჩაღური ხროვის სასაკლაოდ გადაიქცა:

„შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი,
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ მტერსა ივერთ მხედარნი
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!..

...
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას –
მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი!“

ნ. ბარათაშვილის ეს სიტყვები სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებული სამსახურის მაგალითით აღაფრთოვანებს თანამემამულეებს და შთააგონებს მტერთან თავგანწირვის ბრძოლის აუცილებლობას.

აღა-მაჰმად-ხანის ბარბაროსულ მხეცობასთან შედარებით დაიჩრდილა ყველაზე საშინელი დანაშაულობები, რომლები ქართველი ხალხის მძვინვარე მტრებს ჩაუდენიათ თბილისში. ნიკოლოზ ბარათაშვილი შემზარავი გულისტკივილით გადმოგვცემს იმ განცდებს, სადაც გადმოცემულია აღა-მაჰმად-ხანის მუხანათობა და მისი მხოლოდ მოგონებითაც კი ტანში შემაძრწუნებელი ჟრუანტელი გვივლის. ქართველმა ერმა გულმდუღარედ დაიტირა მეფე ერეკლე. „ვერ გაიგეთა ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე ბაგრატოვანთა გვარია“ – გო-

დებდა მთელი ქართველობა. დიახ, „მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი – აი მისი ისტორიული ხატი თუ არ დიდბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუზლიან, რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?!“ (ილია ჭავჭავაძე „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“)

შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ცხადად წარმოჩნდება ქართველი ერის დამოკიდებულება დიდი მეფისადმი.

და მაინც, დიდ ილიას უნდა დავესესხო: „აქ ლაპარაკობს თვით ხალხი, რომელიც მეტისმეტად სიტყვაძვირია და თავდაჭერილი. ერის მიერ ქება უდიდღვაწლოდ ძნელი საშოვარი განძია“ (ილია, „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან.“)

ვაჟა ეგრისელის ცხოვრების აზრი, ზნეობრივი ძალა და სულის აღფრთოვანება განსაკუთრებული სიღრმითა და რელიეფურობით საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილ ლექსში გამოვლინდა. სამშობლოსათვის თავგანწირვის ბრძოლის აუცილებლობას შთაგვაგონებს ვაჟა ეგრისელის ეს ლექსი:

*

„სივრცეებს ზარავს უმხედრობო
ცხენთა ჭიხვინი,
სიკვდილი დაჰქრის ფრთებით ისრების...
დამარცხდა მტერი...
კარგად ვიომეთ! –
ხმა მესმის ზეზვას და ელიზბარის.
წარსულის მძიმე ომის კვამლში წევს
ბახტრიონი
ვითარც ცხადი და ვითარც სიზმარი“.

ციალა მესხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ერთი პოეტი

მზით და სიცოცხლით
                  და სიყვარულით
და თოხისტარზე გამოკრული მცირე
სამხარით,
    გზას მიუყვება ერთი პოეტი,
            ნახა მაღრიბი...
                  მიდის სამხრეთით...
ელის მაშრიყი და ჩრდილოეთი.

1994

***

მთვარესავით სულ ივსება...
და სულ სხვა აქვს
სადინარი,
და, ჩემი ზღვა არ იერთებს,
სხვა წყალთა და
სხვა მდინარის
არიებს და არიეტებს.

1993

***

შიშვლები მყავს, -
        მესმის ოხვრა,
        უცხო მგოსნის ხმა მაჩერებს
                ნაცნობივით,
თუმც ჩემს თანმხლებ ქართულ სიტყვას
მოსავს ფიქრის –
    თეთრი ჩოხა –
        აზრის ქილებ ჩაწყობილი.

1980

მკვდრის მზე

შეუნდოს! –
    ღვინის ცრემლებს
            მოსწმენდს
                ნატეხი პურის,
ნაწნავს მოიკვეცს, იტირებს ვაზი,
რკინისმკვნეტავი,
        აწ მიწის ბელტი,
რადგანაც მიქრის არყოფნის გზაზე,
        მკვდრის მზის სხივების
            მოწყენილ ეტლით.

1958

***

მაღლა მიიწევს ღრუბლების კვამლი,
ჰეფესტო დილას მზის გრდემლზე
კვერავს,
და ღმერთი ცის კარს აღებს და კეტავს,
ობოლი მთვარე –
დამდგარა შტერად
და ვარსკვლავები –
ქცეულან ჭვრეტად.

1982

***

ქვემეხივით დგას ურემი კართან,
                  და შუაკერასთან
                                  მოხუცი მამა,
ზის გრძელ სკამზე და სველ წინდებს
იშრობს,
ცეცხლის ალი კი,
                  კოცნის და კოცნის
შეშას, ვით მსხვერპლად შეწირულ
პირმშოს.

1962

***

ყინვის ზანზალაკებით
                    აღარ მოდის ზამთარი,
აღარ უჩანს საზღვარი –
                    შემოდგომის მოლოდინს,
ცაზე დიან ღრუბლები დამწვარი მზის ხანძრით,
აქ, გულთეთრა ჩიორა,
                    როგორც
სტომატოლოგი,
წელში მოხრილ მზესუმზირას –
    კბილებს ფრთხილად აძრობს...

1964

***

აზრს შებმული სიტყვის რაში,
სტრიქონების ოთხი ეტლი
მიქრის...
და კვლავ მიაჭენებს
შავ და წვრილ – წვრილ ასოების
მოფუსფუსე ჭიანჭველებს.

1964

ქედები

ახურავთ თოვლის ყაბალახები
    და ღრუბლების და ქარების ბუკით,
        კვლავ ამოდიან მაღლა ცაზე
            ისევ და ისევ,
რომ დაინახონ სამყარო უკეთ,
იგრძელებენ და იგრძელებენ ქედები
კისრებს.

1974

***

ელვის ვარდისფერ ძაფით დალამბულს,
ცა კვლავ მოისხამს
შავი ღრუბლების
წვიმით დაჩითულ ცისფერ მანტოებს,
ქარი კი ტალღას ამოიყვანს ზღვიდან
ხელმკლავით,
დასვამს ნაპირზე და...
მიატოვებს...

1989

ბორგავს ენგური... გრგვინავს არაგვი...

ნელა ესობა ხმალი ვადამდი,
ნიკოფსიიდან –
დარუბანდამდი...
ტირის ჭოროხი...
გვქონდეს რა გული! –
ბორგავს ენგური...
გრგვინავს არაგვი:
- ო, რა მცირეა შემორაგვული
და რა ბევრია შემოსარაგვი!!!

1995

***

თავზე ეხურა თოლიების თეთრ ჩალმიანი
ცა და...
გინებით
მოვარდა ქარი და აყარა,
ზვირთთა –
აბორიგენები,
არის გაწევა... გამოწევა... აყალ-მაყალი...

1992

***

ხშირად ვუსმენდი ხობისწყლის
ჩურჩულს,
ეჰ,
    სოფელს მაშინ სხვა ფერი ჰქონდა,
ქარებსაც,
    ბავშვი წვიმით რომ მვარცხნეს,
ახლა,
    იქ არ დგას,
        მამაჩემის მეგრული ოდა
და ეზო მოჰგავს უძეგლო კვარცხლბეკს.

1990

***

ზღვა მუშტებს იშენს,
ვით მამამძუძე,
ქარიშხალი კი თმას შავად
იშლის,
თრთის,
ცის –
მეხით გახეთქილი შუბლი,
ელვა,
სადღაც მიიმალა შიშით,
ჭაღარა რომ შეერია ღრუბელს.

1967

***

ცაცხვების ხისქვეშ,
ხავსიან ლოდზე,
მე ჩამოვჯექი წვიმით სველი
და მობუზული,
უამურ ფიქრში წამს ჩავიძირე...
და იძრა მიწა,
და მიწიდან მესმა ბუზღუნი:
შენც რომ მაწვები,
აღარ მეყო ლოდის სიმძიმე?!

1969

***

ჩემი ფრთებდამწვარი თბილისი,
ფიქრში ისევ დგას ამაღლებული
და ბაბილონობს და ქანაანობს,
მე კი,
მოწყენილი, ვითარც ბედურა,
ვზივარ დარდის ტოტზე და... ვქანაობ...

1994

***

სიცოცხლე,
ვით ტოტი ძახველის,
წამსვე გრძნობს დამისფრთის
შერხევას,
და საიდანღაც მოისმის ძახილი...
და ვიცი ერთხელაც,
მე და სიკვდილი დავდგებით პირისპირ.

1994

***

დოფაჩილთან ხე წიფელის
ფეხზე წამოდგომას ლამობს,
მეხით დამწვარ-დათუთქული
და ნელ-ნელა იცვამს სამოსს –
ჯაშგვიდიას და ფუთქურის.

1959

თაბორი

შარა – ბილიკებით სახე დაკეჭნილი,
ვითარც ხევსური
ან ვითარც მოხევე,
ამაყად დამდგარა თაბორი,
და ყალიონივით უჭირავს ორხევი
და ნისლებს აბოლებს.

1992

***

ოქროს მთიებით მოჩარდახული,
    ღამეში მიჰქრის მთვარის კარეტა,
    უკან ღრუბლების სდევენ ჰიპები,
ტალღა მოსული ქარის მხარედან,
ზღვათა ქვეყნების –
                ამბავს მიყვება.

1972

***

ის გათენდება სამარადისოდ,
ვითარც შეფერის მარიხს
და ოქტანტს
და მერე დამით ლურჯი ცა ქართლის,
მის დიდ სინათლეს დაუბრუნებს მიწაზე
მოკვდავთ,
მირიადი მნათობთა სანთლით.

1994

***

უხარია და ეფინება გულზე მალამოდ
ზღვას
თოლიების წივილ-კივილი,
ღელვის მადალ ცეცხლს გაჰყურებს
ფოთი,
და ნიკოლაძის დიდ აჩრდილს ნატრობს...
ასეა მუდამ...
დავა და შფოთი –
გაჩენის დღიდან მოსდგამს ზღვის
გვარტომს.

1961

ქრისტეს მსახურნი

საუკუნეთა სათვალებიდან
        მე ნათლად ვხედავ:
                რომ ურჯულონი
                        და უსახურნი
სარკინოზები ჩვენს სულს და რწმენას
თუ როგორ სრესენ...
        და – ტინად დგანან
        ქრისტეს მსახურნი:
შუშანიკი,
        აბო,
                და ნერსე.

1965

***

არა,
    არა და არ ხრის,
            საუკუნეთა წამწამს,
                ჩემი ქართული აჩენს
მზიან "ლილეს" და "ლალეს",
ღიმილის ქათქათა კბილებს,
            მზერის ნაღვლიან თვალებს.

1990

ქალაქელი გოგო

მე სოფლელი და –
ის ქალაქელი
გოგო,
რომელსაც სისხლი უჩქეფდა,
გავყევით შუკებს და სოფლის ღელეს...
და ღელის პირას,
იქვე ბუჩქებთან
მოვხვიე ხელი და მოვეფერე –
ალბათ მიხვდებით,
რაც მოხდა მერე.

1955

სოფლად

მზის მოვანებას ბღავის ნახირი,
თუმც დედამიწა
ბნელში მძინარი,
სიზმარში დილის ნათელს აბოდებს,
და ადიდებულ ღამის მდინარეს
მიაქვს დასავლით მთვარის
ნაფოტი...

1957

***

საცეცხლურს მწუხრის აცვია ძაძა,
კვამლი თუ გესა,
ცისკენ იურვის,
და ლოცვის ტაძარს
რწმენისა და უფლის სამყოფელს
სცემს სურნელება ღვთიური.

1976

***

ზღვას ვუხმობ,
    როგორც ჩემიანს
    და ცავ,
                ჩვენ არ რა გვიჭირს,
სანამდის შემორჩენია
    მთას სპეტაკ სითეთრის და
            ბარს კი სიმწვანის ნიჭი.

1989

არწივის ფრთის ვისმენ შრიალს

კავკასიის დიდი მთები დგას ცის ქვეშ და
აღარ იძვრის,
არ იშორებს თეთრ არშიას,
თუმც ეხვევა თავზე ბინდი,
არწივის ფრთის ვისმენ შრიალს,
ვაჰ!
თუ ამირანის ღვიძლის
საკორტნავად ისევ მიდის!...

1959

***

იწვა ქარიშხლის სარეცელზე ზღვა
                  და ბორგავდა...
ვიდოდნენ ზვირთნი
    ოდრიკალად წელში მოხრილნი,
        დუმდნენ ნიმფები
                  და სატირები,
ახლა ღრუბელი
        ქვრივ-ოხერივით
მიდის მკვდარი ზღვის დასატირებლად...

1961

ნათელხილვა

არვინ უწყის გაჩნდა რა ვარსკვლავზე,
მზით მოჩახჩახე დღეა თუ
ღამეა,
ბედს მიღმა იმედი ქრება და ინთება,
ეს წიგნი კი არა,
ფიქრთა ჩემთა ოკეანეა,
ნაპირს ასკდებიან ლექსების ზვირთები...

1993

***

ღამეს,

გარდა ვარსკვლავების,

არაფერი აბადია,

აი,

ახლა, როს მიჭირდა,

სავსე მთვარე,

ვით ბადია,

კვლავ ამოაქვს ცის შავ ჭიდან.

1958

***

შუადამისას სულ წამიერად
                    გზა გაუნათა ელვამ
    კეთილმა,
რომ ცივ სიშორის გაეღო კარი,
და სიმყუდროვეს –
                    ცას მოწყვეტილმა
ვარსკვლავმა უცებ გაავლო ლარი.

1961

***

დუჟმორეული და სველი შეშა
წევს შუაკერასთან,
როგორც ღვთის გლახა,
ქრიან ნაპერწკლების კომეტები –
წუხს სიღარიბეს ისლის ქოხი,
თუმც ცეცხლის ხახა
სავსეა ოქროს მონეტებით.

1962

***

ზღვის კარებს, ვითა მონასტრის
ქარები ჩუმად აღებენ,
ხმა სუფევს სააბატოსი,
ნაპირს მოაწყდა ტალღების
დუნდგო,
ვით ურდო ბათოსი.

1995

***

ლურჯ გობელენზე,
ვიღაც მეფეს,
ბედით კმაყოფილს,
ტანზე მოუსხამს ოქროს პორფირი
და აღარ ესმის სხვათა გოდება,
შენ კი რაღაცით უკმაყოფილო,
უჩუმრად იხდი ღამის პერანგს
და მელოდები –

1975

***

ვარსკვლავების ნაკვერცხლებზე
ეს მერამდენედ
ვწვავ ღამეს,
ცეცხლი რომ დავიურვო,
ვარ კაცი გრდემლი,
ნაპერწკლებს რომ ყრის
ის ცხელი ურო –
გულისცემაა ჩემი.

1992

***

ცა ელვის მათრახს გადუჭერს
ზღვას,
და ის მაინც იყუჩებს,
მაგრამ ქარი რომ იწივლებს,
ვით კრუხი დამფრთხალ წიწილებს,
ზღვა,
ფრთებქვეშ ტალღებს შეიყუჟებს.

1978

***

დავიწყებისკენ ეზიდებიან
        უფლის ციხეებს
                  და ბარაკონებს
წლები...
        და გზები დაკემსილი
                  და დაკეცილი,
და მე უღონო,
        გაუხედნავ ციცქნა სტრიქონებს,
ვერ ვუდრეკ კისერს,
                ფიცხელს
                  კვიცივით.

1989

***

ბოლოს მეორე ათასწლეულის,
მგოსნებს ეჭვები
რომ გაუჩინოს,
პარნასის მაღალ მთაზე შეკრებილთ,
მოვიდა ერთი,
ვიღაც უჩინო,
და დაამსხვრია ბომონი და
მისი კერპები.

1995

***

ამ ლიფსიტა სტრიქონებში,
თუ სიცოცხლეს ვერ ჩავატევ
და დღის ბოლოს ხვითოს ნაცვლად,
თუ შემომრჩა ჯოჯო ხელში,
მეც ცოცხალი,
როგორც დანტე,
ვნახავ... ჩავალ ჯოჯოხეთში.

1992

***

ჟამთა ბრუნვამ ვერ დაგდალა,
მტერი სამყაროს ორპირის,
და პოეზიის ტაძარში –
შედიხარ, როგორც ქურუმი,
ქართულ ცასავით მაღალი,
მოსილი მეფის პორფირით.

1995

***

ცის ქუხილი მივამსგავსე
ტარიელის რაშის ჭიხვინს,
და...
ვითარცა ჯარი ჰინდის,
ეს ღრუბელი ელვა-ჭექით,
ტყვე ნესტანის დასახსნელად,
ალბათ,
ქაჯეთისკენ მიდის...

1957

ცაა გმირთა სასაფლაო

იუწყება:
    შეუნდეთო აღმშენებელს,
                არც სახელი,
                    არც საფლავი,
გაქცევია მიწის ქაოსს,
და... დუმს ციხე
            ათასწლობით გალურსული,
ცაა – გმირთა სასაფლაო,
    ვარსკვლავებით დალურსმული.

1988

იმედი

პოეტი იყავ...
                  და სამშობლო გქონდა
                                  სახატედ...
და, ვით აკაკი,
                  ვაჟა,
                                  ილია,
სიყვარულისთვის ქვეყნად მოხვედი,
მადლობა უფალს!
    შენც "უვალი გზებით" გივლია,
ნუ გეშინია უკან მოხედვის.

1995

***

იქ ვსახლობ,
    სადაც დედამიწის გმინვა-გნიასი
        ვერ აღწევს...
            და ვერც ექო ომების
სმენას ვერ სხიპავს ელვის წალდებით,
იქ ვსახლობ,
        სადაც დრო იზომება,
მზის და სინათლის წელიწადებით.

1992

ფინანდალში

აქ,
    სემირამიდის ჰყვავიან ბაღები...
        და გარდასულთა გუგუნებს
                ბუხარი...
და მოგონებები სევდის კარს აღებენ:
ხსოვნის ცეცხლს უსხედან ნინო და
“კატინა”,
ერთმა,
        გრიბოედოვს გული გაუხარა,
მეორემ,
    ბარათაშვილს, ეჰ, სული ატკინა...
ნინო და “კატინა”... ნინო და “კატინა”.

1986

***

სიცოცხლით და სიყვარულით,
მათ მამული დაიწინდრეს,
და რაც სწამდათ,
სწამთ ისევე:
მარტვილელთ და ერთაწმინდელთ,
წყნეთელებს და
წავკისელებს.

1994

***

აქ, მატარებელს –
    ცალთვალა ციკლოპს,
    ელოდებიან ეს მერამდენედ,
წუხს ჭალადიდის ბაქანი
ლოდინის ქვებზე სხედან ლანდები,
            და, ქარი ვაგზლის ზარს
    აქანავებს...

1991

მაინც

ქართლის მთებზე გადმომდგარი
გაზაფხული აღარ ბღავის,
დარი არ დგას სასურველი,
მაინც ქართულ მიწის ყვავილს,
სხვა ფერი აქვს,
სხვა სურნელი.

1993

სიყვარული

კი,
ცალ-ცალკე მზეც და მთვარეც,
ერთმანეთის ტრფობით იწვის,
ცის სიშორე
ზღვას აშფოთებს,
სიყვარული მშობელ მიწის,
ახატიათ გულზე ფოთლებს.

1994

***

მზე ჩაბუდებულ თვალებში,
რომ შეიცვალა
ამინდი,
ჩემი ბრალია ისიც,
მე სამოთხეში რა მინდა,
ჯოჯოხეთის ვარ ღირსი.

1995

MEDIUS

როცა წამოყრის მიძინებულ ტალღებს
    გრიგალი,
მე,
    იმათ ხსოვნას აფრებად გავშლი,
თუმცა ჩვენ შორის მეფობს დუმილი,
        ზღვაში დაღუპულ სულებთან
    კავშირს,
ვამყარებ მაინც მედიუმივით.

1979

***

იმედებით შებუმბლული
ფიქრი –
მაღლა,
ცისკენ ილტვის,
მესმის მნათთა ლაპარაკი...
და ორთის მთვარე,
როგორც ბჟიტი,
სავათის თუ სასარაკის.

1964

***

ცამეტ ვერცხლად სულგაყიდულთ,
სატანასთან ნაამბორევთ,
სხვის სუფრაზე მადით ნარებთ,
სააკაძე თქვი შენ,
თორემ,
რა გამოლევთ შადიმანებს.

1995

***

სანაპიროს სველ ქვიშაზე,
ფრთა გაშლილი თოლია დევს,
აწი რაღა დაამშვიდებს
ზღვებს,
ქარიშხლის თოკით დაბმულ –
ცოფმორეულ გოლიათებს.

1959

***

ჯერაც უთქმელი სიტყვა ქართული –
მზის ხელმანდილში
გასანასკვავი,
მოგიოქროვებს შენს დარჩენილ დღეთა
ბარათებს,
და გწამს და გჯერა:
ხვალ თუ არა,
შენი ვარსკვლავი,
ასი წლის მერე,
ქართულ ციდან გამოანათებს.

1971

***

შეუბამს ღრუბლის შავი რაშები
ელიას,
ცაში საბრძოლო ეტლით
დაჰქრის და ელვის წითელ დროშას
დააფრიალებს...
ღმერთს დედამიწა უჭირავს ხელში,
ვითარცა ცოდვით –
სავსე ფიალა.

1959

აპრილის ქარი

დასალიერში ისევ ანთია,
ჩამავალი მზის სუსტი
კოცონი,
აპრილის ქარი
გაზაფხულის მზეზე მყვირალი,
ზღვას მარილიან ტუჩებს უკოცნის,
ეალერსება ხომალდების გამხმარ
ყვრიმალებს.

1966

***

მორჩა... გათავდა!
    საქართველო ღმერთმა გასწირა!
აწ აღარ შველის ლოცვა კურთხევა
და ცრემლები
        სისხლად ნაწვიმი,
ყველა ქალაქის
        ყველა ქუჩის,
            ყველა კუთხესთან
დგას სიკვდილი და –
            სიმათხოვრე
ხელებგაწვდილი.

1995

სურათები

“ვიცი, მაიკო ორბელიანი,
მარაოს ნიავზე გაცივდა...”
გ. ლეონიძე

აღარ შემორჩათ ტაძრებს ფრესკებად,
ანგელოზური მათი ხატება,
მათი მშვენება ჟამმა აიკლო
იყვნენ ლამაზნი...
მაგრამ თურმე,
ო, სულ სხვა იყო
ეკატერინე,
ნინო,
მაიკო.

1987

***

ვებერთელა ზღვის საცერით,
უხილავი ქარებს ცრიდა,
და როს გაქრა
მზის მერდინი,
წამს ვარსკვლავი ქართულ ციდან,
ამოსხივდა –
იმედივით.

1967

***

წყვეტენ და...
ელვის აპეურებს
ცა ხშირად უცვლის,
გამოიარეს მთა და ხევი ათასწლეულთა,
სიშორის ფსკერზე მიმოყრილი მნათობთა
ქვიშა,
მზესა და მთვარეს –
წაბლას და ნიშას
გახეხილი აქვთ ქედი და თხემი
(სიცოცხლით სავსე)
დღე და ღამის ურემის თრევით.

1981

***

წყაროს არა,
    თვითონ ნამდვილ
            უკვდავებას ჩემში ჰპოვებ,
თოვს სიმწვანეს ტოტი –
                    დაფნის,
ცის ლურჯ სიმყუდროვეს ქსოვენ
                    ვარსკვლავები –
                            ოქროს ძაფით...

1977

კაი ყმა

ვით ვაჟას,
        მეც ის "კაი ყმად" მითქვამს,
ვინც ცბიერ დრო ჟამს არასდროს
მონებს,
არც მაცდურ დღეებს ქცეულებს გზირად,
        აწმყოში ვხედავ:
                მომავლის პოეტს,
ქართლის წარსულში მომწყენით
მზირალს.

1996

***

თებერვლის ქარი უბერავს,
    თმაგაბურძგვნილი,
    მურდალი,
და ღამეს ყინვას აძალებს,
            ქათქათებს ზამთრის ტაძარი,
თოვლისგან ნაჩუქურთმალი.

1959

***

შენი ლექსი...
ციცქნა ლექსი,
დიდ ტილოებს მიტომ მეტობს,
“საიდუმლო სერობაა”
მასში დიდი,
ვითარც ფუნჯში –
ტინტორენტოს.

1991

***

არგო არ ჩანს...
ჟამს იქიდან,
ხმა სულ ახლოს ირეკება
ჩვენი მოვნის
და მოძალის,
და ფაზისში –
ირეკლება,
შუბის ტარი ამორძალის.

1992

***

ციხე-კოშკებთან მთები ბილიკებს
    გვტყორცნის და გვტყორცნის
            ფრთიან ისრებად –
ყინულის ბზინავ მუზარადებით,
დაბადებიდან ფეხისწვერზე დგანან
ქედები,
რომ მტრებმა ნახონ:
        რა შესძლებიათ,
რადგან ეს მიწა ედემია და სამოთხეა,
        ხეთა ფესვები
        ჩემი წინაპრების ძვლებია,
ბევრიც ეცადონ,
    ყველას მაინც ვერ ამოთხრიან.

1994

მუზას

მზის დარახტულ რაშზე შესვი,
    მიაცილე ცისკრის ბჭემდე,
        მერე ფიქრში
            და სიტყვაში,
თაფლის სიტკბო ჩაუწვეთე,
კაცს,
    ბაჯაღლო ქართულ ლექსის,
ოპიზარს და ოქრომჭედელს.

1979

***

არასოდეს გიფიქრია
                    იალუბზზე
                              და ეტნაზე,
მაგრამ დამე შენს სახელსაც
დაწერს მნათთა ასოებით
                    საქართველოს ცის ეტრატზე.

1989

***

პირთამდე სავსე თვალ-მარგალიტით
ზღვა,
    სურს ქარიშხალს,
                    როგორც ნადავლი,
როგორც მშფოთვარე მიწის ნაჭერი,
ქარს კი უპყრია ცისარტყელას
                    ოქროს სადავე
და შავრა ღრუბლებს შორს
მიაჭენებს...

1972

***

რჯულმტკიცე წინაპრებისგან,
ვარსკვლავთა სასანთლეებში
დანთებული მზის "ლილეო",
ამ ურჯულოთა ყაყანში,
ვახმე!
რარიგად ილევა...

1996

***

შორით მოსული ექო –
ქუხილის,
აბობოქრებულ ზღვას გამყივარი,
როცა შიშჩამდგარ ნაპირს
გაშორდა,
ცა –
ვარსკვლავებმა ააყირავეს,
და მთვარე იშვა
ღამის საშოდან.

1959

უძარძაშო ხმლები

(ტრიპტიქი)

ლევან სანიკიძეს

1

ფარ-ხმალთა ჟრიალი...

ცეცხლი და ომები...

და გადაყივილი... და გადაძახილი

მომხდურთ რომ სიკვდილით გარს უვლიდა,

ოფლს იწმენდ

გარდახდილ ბრძოლებით დაღლილი,

ამ წუთას მოხვედი თითქოს წარსულიდან.

მეფე ერეკლე

2

როგორც მეტეხი,
    მტკვარს დაჰყურებ დამწუხრებული,
    წყლიდან წარსულის ჭვრეტ
ანარეკლებს:
კრწანისის ველზე მოწყენილი დადის
ერეკლე,
(სიკვდილის რაშებს გმირები არ
დააგელვებენ),
და სცივა მეფეს –
                თუმცა ანთია
ყაყაჩოებად, იქვე სული არაგველების!

კახაის კოშკი

3

ვით ცამცუმის ცას მწვდენ კოშკში,
    მორჭმული კვლავ ზიხარ მახვშვი,
        მარჯვნივ გიზის ომის ზევსი,
მარცხნივ
        დიდი ჭყონდიდელი,
რადგან ისევ მივიწყებულ
“უქარქაშო ხმლების” ლესვის,
        დრო მოსულა ოდინდელი!

1994

***

ალილუია! –
ღმერთს ვცეთ თაყვანი,
ლოცულობს მრევლი
და დიაკვანი
საცეცხლურს იქნევს და შავ წვერზე –
ღერი ჭაღარა,
ისე მოუჩანს, თითქოს ვიღაცამ,
ბნელში,
სანთელი ანთებული შემოაპარა.

1959

***

ზოგს მინდვრის ყვავილით,
ზოგს დაფნის გვირგვინით,
მოელის გლოვის დღე,
და ყრმები, რომლებიც აწ უნდა მოვიდნენ
წვანან შორეულ
ვარსკვლავთა აკვნებში
და მოდის სინათლედ იმათი ტირილი.

1989

***

ნუთუ იმასაც ჩვენებრ ესმოდა,
მთით გადმომდგარი
ირმის ბღავილი,
ნუთუ იმასაც სული ჩვენებრ კბილთა ეჭირა
იმ თავის ქალას,
მილიონი წლის უღრანიდან,
რომ შემოგვცქერის ბრმა თვალებით,
კბილდაკრეჭილი.

1959

***

მზის და სიმაღლის მარად მსურველი –
    დასალიერთან მოჩანს ზვირთთა
                ეიფელები,
ზეაწეული ქარების თაღით,
ვზივარ ნაპირთან
            და ვეფერები
წყლის ბალახებით თმაშეკრულ
ტალღებს.

1990

***

მზე კოცნის ლოყადაბერილ კვირტებს
                  და ტოტებიდან
                  სიმწვანეს წვეთავს
მარგალიტებს ფერად მძივებად,
                  ელის თბილისი
                  და ელის მცხეთაც,
მტკვრის და არაგვის დაფეხმძიმებას.

1962

***

ზღვა
    უმაძღარი ბაყბაყ დევია,
        მაგრამ მე,
                ლუკმად არ შევერგები,
მიტომ ამაყად მოვუყვები მის ლურჯ
დერეფანს,
წამომიმართავს ქარიშხალი ღრუბლებს
    ძეგლებად
და მე "შიშში ვგრძნობ,
        რომ ახლოა ბედნიერება".

1958

***

პურს თესავ და...
იმკი შერიას,
და ძვალივით ეს ცხოვრება,
ყელში კვლავ გაქვს გახირული,
ორი ქვეყნის გეშინია –
უხილავის და
ხილულის.

1995

***

მზის გვირგვინოსან მაშრიყიდან,
ვიდრე მაღრიბით,
დედამიწა რომ გადითარეშეს,
ბევრის მნახველმა ჩემმა ქარებმა,
ალბათ იციან,
რომ ვეღარ ვძლებ
ღელვის გარეშე
და ზღვასთან მისვლა სულ მეჩქარება.

1972

***

წყალში ვერ ძლებენ...
ვერ ისვენებენ...
თავწაკრულები დოლბანდით ქაფის,
რადგან სიცოცხლე დაუსრულებიათ,
ტალღები არა,
ზღვაში დაღუპულთა
სულებია,
რომ ეპოტინებიან ნაპირს...

1957

მღვიმეში

არსად არავინ...
მაგრამ მაინც საიდანღაც
მესმის ლოცვა და ლაპარაკი,
უუძველესი გავშალე წიგნი,
ხმელი ფოთოლი შეირხა შიგნით,
მივიწყებული,
ვით წყალქვეშა –
მკვდარი ქალაქი.

1989

***

ადამის ძეთა ყოფნას უდღეურს –
    ბოთეს და ბოროს,
            კვლავ მისდევს აწმყო –
ავი მწევარი,
მომავალი კი,
როგორც კურდღელი
გარბის...
            თავი რომ შეაფაროს
                წარსულის სოროს.

1980

ქვები

არაგვის პირას,
მტკვრის ნაპირას და შორს
ნილოსის,
დამსხდარან ქვები გრანიტის თუ
მარმარილოსი
და უნანავებთ ფრთებით არავი,
და მისამართებს...
და საჭრეთლის ძახილს ელიან...
მაგრამ ღვთის გარდა იცის არავინ,
შენი საძეგლე თუ რომელია!

1999

***

მე მჯერა უფლის და პლატონის,
    სიცოცხლეს,
            სიბრძნით რომ მოსავენ...
ასევე "თალმუდის", "ეფუთის",
რომლებმაც ამქვეყნად მოსვლამდე,
            ათასი ცოდნით რომ
    შეგვფუთნეს.

1979

***

მაყარ მნათთა თქარა-თრუქი,
ზღვის მოწყენილ
ოხვრას ერთვის,
ბაღში კვირტთა ატყდა სროლა...
მზისთვალება,
პირად თეთრი
დღე,
შავ ღამეს მიჰყავს ცოლად.

1977

ზურაბ და დაჩი

მოულოდნელად როდესაც წავალ,
ერთს გთხოვთ, შვილებო,
ზურაბ და დაჩი,
ფრთხილად გახსენით ჩემი განჯინა,
და როცა გახსნით,
გაიგებთ მაშინ,
ცივ ქვაზე ვინ და რამ დამაჯინა.

1995

***

(გალაკტიონს)

“პოეტთა მეფეც”
აღარ დაგინდეს,
დღეები გექცნენ ყიზილბაშებად,
კვნესოდი:
ირგვლივ დაჭრილებია...
დედამიწაზე გაგიძნელდა ალბათ
დაშვება,
მაგრამ აფრენა
ცაში აღარ გაგჭირვებია.

1959

***

აფრის ტკაცუნში,
    რომაელთა სიბრძნის ფრთიანი,
        შორეული ქრიან ქარები...
ვერა და ვერა, ვეღარ იქნა მტრისგან
ძლეული,
შავი ზღვისპირას წევს კოლხეთი
        ნიშა ხარივით
და...
    იცოხნის ათასწლეულებს.

1959

***

ღრუბლებით აქა-იქ დაკემსილი,
მწუხრმა ისროლა
ცის შავი ბადე,
და მაინც რომ არ ჩანს საშველი,
შენ გულით გინდა
ღელვაში ჩავდგე,
რომ ზღვა და ქარიშხალი გავაშველო.

1960

***

არის შეჯიბრი მეტეორების,
მზის ოქროს მედლით,
გამარჯვებულს,
დილა მიელის,
აჟრჟოლებს ელვას,
შიშით ატანილს,
ცა –
ოლიმპოა,
ღამე –
ზანგი ოლიმპიელი,
აღსავლით მიაქვს ვარსკვლავების
ჩირაღდანი.

1956

ქრისტე

თუ იყო ღმერთი,
მოეხდინა რამ სასწაული,
გალილეაში უბრძანებდა ქრისტეს,
ჰეროდე,
თუ არა ჯვარზე...
მაინც ჰკადრა მთავარს
უარი,
თუმც საკუთარი თავის სჯეროდა.

1986

***

უნთია ლექსი...
                  და სალოცავად,
                  გულს უსვენია შვიდი ხატება
და სწამს სამშობლო,
                  სხვა არაფერი!
ყველა დანარჩენს აღემატება,
                  ისე,
                  უბრალოდ,
                  ერთი გაფრენით.

1984

***

მოულოდნელად გავარდა მეხი
    და ჩაუმსხვრია ზეცას მინები,
        ღრუბლებმა მთვარე სიყვითლისგან
            უცებ განკურნეს,
და დაღლილ ზვირთებს
        ზღვის აკვანში უხმოდ
    ჩაკრულებს,
ქარი ვერა და ვეღარ აძინებს.

1977

***

ალბათ ჩემს გარდა იცის,
არავინ,
ნიავმა ახლა რად შეატოკა
მეწველი ფურის კერტიანი –
ყურძნის მტევანი,
ანდა შუა ბაღში მდგარი მარტოკა,
რად აღვარღვარებს ცრემლს
შადრევანი.

1984

***

ვითარც ქართველი სასურველ სტუმარს,
შემეგებება ზღვა,
ჭიშკართან,
ვით მასპინძელი,
აშრიალდება სიხარულით ნაპირზე ქვიშა,
და მერე ტალღა სიმხნევის
ნიშნად,
შემანჯღრევს და ხელს დამარტყამს
მხრებზე.

1965

დღე შემოდგომის

შუაგულ ტყეში ასვენია დღე
შემოდგომის,
                    წუხან თეთრ ჩოხებში
    თელები,
თეთრ ქალებიანი ტირიან მუხები...
და...
    დგანან ხეები,
                    ვით ჭირისუფლები,
და... ღვარად ჩამოსდით ფოთლების
    ცრემლები.

1962

***

ისევ უსხედან ცის მრგვალ მაგიდას
დღე და ღამე,
და,
მზეს და მთვარეს
ვით მონარდენი
კვლავ აგორებენ... და ფიქრობენ:
განა ასი, ან ათასია?
ამ სიმყუდროვეს, ერთად ამდენი,
ვარსკვლავი,
ნეტავ ვინ დაასია?

1989

***

მაღალ მთაზე უდევს კუდი
    და კოლხეთის ძველ მიწაზე
        წევს ფაზისი, დროა დიდი,
და პონტოს ზღვაც
        საქართველოს
გახლავთ უძველესი მკვიდრი.

1959

***

ციცინათელას კვეს-აბედით
შემოდის მწუხრი
და გულზე დარდის ჟანგიან ლურსმნებს
მაჭედებს...
და ხდის უდედობის სინანულს ორკეცს,
ვზივარ დამბაზე მოწყენილი
და ჩუმად ვუსმენ
ლაყუჩდაბერილ ბაყაყების
მხიარულ ორკესტრს.

1984

***

ზღვა ძლიერია და ცბიერიც,
აცვია ნათხოვი
ცის ლურჯი პერანგი,
მთვარიან ღამეში ნაქსოვი ქვიშის,
მოველ,
მწადია დავინახო ზღვის სივერაგე,
მაგრამ რად გინდა,
ქარიშხალი,
ახლოს არ მიშვებს.

1994

***

ელვა გაკრთება, როგორც ბინული,
                  და ზღვის მოწყენილ
    სანაპიროზე,
მიტოვებული საფლავივით მოჩანს დიუნი,
მიწას კი ისევ ანერვიულებს
        ცის გამოხედვა
                  და ხარხარი
    ისტერიული.

1978

***

ქედები ძილად მიეყრებიან,
    მზე როცა ჩავა სიჩუმეში
                ღამის სათევად,
სუნთქვას შეკრავენ ჭიუხებში როცა
არჩვები,
შეეშინდება ცას,
        წყვდიადში მარტოდ
                დარჩენილს,
იშიშვლებს მთვარეს, როგორც სატევარს.

1959

***

ზღვა ვარსკვლავების ოქროდ ნაწერი,
ჯაქვაბორიამ უცებ წაშალა,
გაყვითლებული,
ხეს უჭირავს
ფოთლის წერილი,
მოუხვევია მთვარეს შავი ღრუბლის
თავშალი
და ცის კუთხეში ზის მარტოკა
დედაბერივით.

1977

***

დიახ, ცხრა და ძმის
        სიტკბო,
                სიმწარე,
ჩემს ღარიბ მშობლებს თვით განგებამ
                ჩამოურიგა,
და...
    ნაბოლარას დამანათლა ნიჭი
    მგალობლის,
მადლობა უფალს და არსთ გამრიგეს,
გაჩენის დღიდან
        მე რომ მწყალობენ.

1995

***

არ წყდება ღრუბლების დავა და კამათი,
ცა,
ელვას გულში კვლავ
გაივლებს,
თუმც ბნელში მნათობი ინთება,
და როგორც ცხვრის ფარა,
უაზრო ბღავილით,
ზღვის ფარეხს სტოვებენ ზვირთები.

1987

***

სად ვარსკვლავების სამოსახლოა,
და შუქი ბრწყინავს
ათას ნათურის,
პოეტს სურს ყოფნა იქ რომ ინატროს,
რომ აფრინდეს და დაიბინადროს,
სხვა არაფერი, -
“ფრთები უშლის გოლიათური”.

1959

ქართლში

გაზაფხულის მზე სიცილით
აღვიძებს ქართლს –
თვალმითვლემილს,
დღე არ მახსოვს ამისთანა,
ალბათ თავის დავითს ელის
ქსნის წყალი და
ლამისყანა.

1976

***

ომი...

ყიჟინა მეციხოვნეთა,

სამშობლო მიწის ბალახის ღერი

ებნიათ გულზე ჩვენს დიდ წინაპრებს

და მათი კვნესა...

ზღვის მოთქმა და

წუხილი მწერის,

ისლით დახურულ ფიქრთა ჭერქვეშ

დავაბინადრე.

1989

გაზაფხული ჰქვია სახელად

თეთრ ბაფთებიანი აპრილი,
    როცა მზის სარკეში იჭვრიტება,
    როცა ხის ტოტზე მთვლემარე,
მწვანე წამწამებიანი კვირტები
    ფოთლებად თვალებს ახელენ,
მათ გაზაფხული ჰქვია სახელად.

1967

***

მობიბინე ცის მინდორზე,
    თვალსაცერა ვარსკვლავები,
    კუნტრუშებენ,
                ვით ხბოები,
დილას ხურს მზის დაყივლება,
            და ფრთებს შლის და
                იფხორება.

1958

***

მხოლოდ იმ ერთმა,
იცის უფალმა,
დღე რატომ მისდევს
ღამის ნაკვალევს
შვილებითა და შვილიშვილებით,
ან მიწა ზოგჯერ რისთვის კანკალებს,
და ან ცა სახეს
რად იხოკავს
ელვის ფრჩხილებით.

1989

***

მარგალიტებით სავსე პირთამდე
ზღვა ბორგავს უღვთო და უმადური,
და შემოდგომა
ილევა,
მაშვრალ ტალღების ისმის
“ნადური”
და ვარსკვლავების “ლილეოს!”

1962

ანაკლიის ღამე

მნათთა თვალები დაშრეტია სამყაროს,
    მიწაზე ამდენი ფიქრით
                    და დარდით,
არა ჩანს სივრცის მესამედი,
        ცის სიჩუმეში ვიღაცა დადის
და ღამის მწკვარამს ისინათლებს
                    კვეს – აბედით.

1959

***

მოვარდა ქარი თმაგაწეწილი,
            რაც ბროლი იყო
                ერთად დალეწა
და სანაპირო კვლავ აატირა,
მაშინ,
            ქარის წინ მუხლზე დაეცა,
ზღვა:
            – ჩემს ჭადარას ეცი პატივი.

1959

***

ფიქრიმიუწვდომელ ზესკნელიდან,
წინაპრების თუ
მნათობების ძახილი მესმის,
დღის თეთრ ჭიშკართან
შავი ღამე დგას
მორჩილი,
მთვარეა თუ თავისქალაა ზევსის,
ღრუბლების
მეჩეჩიდან ამოჩრილი?!

1961

***

საუკუნეა წიწამურს,
ილიას შუბლზე ნასროლი
ტყვიისგან შავად დარჩენილ
კვამლის აცვია სამოსი,
და,
საქართველოს რომ ტკივა,
ტკივილი საგურამოსი.

1989

გვიძარცვავენ ისტორიას

მინაწერი პეტრე კენჭოშვილის წიგნზე:
“მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს
და წმ. ათონის მთაზედ”.

სულს ართმევენ ყოვლად ქართულს
ტაძრებს და წიგნსაცავებს
(ახლა ყველა რიტორია),
მდიდარ წარსულს გვიძარცვავენ
და გვტაცებენ
ისტორიას.

1961

***

მზე გადამთვრალი სინათლით,
ბნელში ჩავიდა
ბარბაცით...
მთვარე კი, მისი დობილი,
ცის გადაჭედილ დარბაზში
მარტოდ დგას
დედიშობილი.

1964

***

ჩემს სავალალოდ გამოგზავნილი,
ჭექა-ქუხილით მოვლენ
წვიმები
და მე ხელმკლავით
წამიყვანენ უმისამართოდ,
საფლავში ყოფნა მომეწყინება,
მაგრამ...
“მთაწმინდის მთვარე” გამართობს...

1995

***

მაისის ბაღში ყვავილები
ოქროცურვილი,
არ შერჩენია ვაშლსა და ატამს,
დადონებულა ხე –
კოწახურის,
სადღაც სინათლის წვეთები ატანს
ცის ქოხს –
ღრუბლების ისლით დახურულს.

1958

***

ბორცვს იქით,
                პატარა ყურესთან,
                მთა წამოწოლილა ზარმაცი,
მის ხელში, ვითარცა მახვილი,
ზაფხულში,
                მდინარე იალებს,
დგას პოსეიდონი მთვრალი და
ბარბაცებს,
ნაპირზე ეღვრება,
                ზღვის სავსე ფიალა.

1974

***

ქვებუდანობა,
ზაკვა,
რინი და ნამარდობა
და დარისხება თავზე ზარების,
თურმე ცხოვრების აბრუნდებია,
სანამ,
იქ აღარ გაგვამგზავრებენ,
საიდანაც რომ არ ბრუნდებიან.

1994

ვაჟა

არ ბნელოდა,
მაგრამ მაინც,
სულ სხვაგვარად ირიჟრაჟა,
ნახონ მთებს რომ შეუვლიან,
ყველა მიყვარს...
მაგრამ ვაჟა,
რჩეულთ შორის, რჩეულია...

1961

***

მოძალადემ და მოშურნემ,
ჩვენ გვაწყევლინა დღეები
დაბადების და
გარდაცვლის,
და...
ყველაფერი წაიღო,
გარდა სულის და...
გარდა ცის.

1993

***

ვინაც გამბანა ნათლის ემბაზში,
მასვე ექნება ალბათ მიზეზი,
რომ მარადიულ წყვდიადს
შემყაროს,
მაგრამ მე ისე, ვით ოდისევსი,
ამოვეკრობი ჩემს პოეზიას,
კიკლოპს –
სიკვდილს რომ გამოვეპარო.

1974

***

ეს არსაკიძის ხმა არის ალბათ,
ცივი და შორი,
ტკბილი და ამო,
მცხეთასთან,
მტკვარს, ვით არაგვი ერთვის,
და სვეტიცხოვლის ტაძრიდან ერთი,
ანგელოსი გაფრენას ლამობს.

1959

***

ასჯერ დამწვარი და დამეხილი,
შავი ზღვის პირას
გიდგას კარავი,
და ირგვლივ ნათელს ჰფენ...
- სხვა ვინ?
არავინ!
საქართველო ხარ შენ!

1967

***

ქარებითა და წვიმის მარცვლებით,
ისევ ივსებენ ჩიჩახვს აფრები,
მზე მიაბოლებს ღრუბლის
ყალიონს,
ტალღებს კი ცაში უნდათ აფრენა
და ეს ზღვაც
თანვე აიყოლიონ...

1981

***

მოწყენილ ციდან ერთმა ღრუბელმა,
ჩამოიხედა მთვარის სათვალით
და ერთი სიკვდილი გაათავა:
ნახა, რომ ღელვამ, -
დევმა ცხრათავამ,
ძირშიმოჭრილი, ვით მოიბა
ერთად ცხრა თავი
და დაეძგერა დედამიწას ჩასაყლაპავად.

1964

***

ტყის სიჩუმეში ეგდო პირაღმა
ღელე დამშრალი და
    დაწრეტილი
და მეხსაც შიში ედგა ხმაშივე,
უცებ ხოხობი ცად ავარდა ცეცხლის
სვეტივით,
    თოფმა იქუხა – ჩაქრა მაშინვე.

1966

***

სათიის ციცქნა სამრეკლოები,
რეკენ ისრების
სურვილს,
ერთ გულისცემად ორთა,
წამზომი წრეში მომწყვდეულ ჟამს
გარშემო უვლის,
ქანქარა
ფხიზელ გუშაგივით გარეთ სცემს
ბოლთას.

1958

***

შეხე!

მაღალ ციხე-ტაძრებს

(ცის და მიწის მნათად ნაგებთ),

თმოგვს და ზარზმას,

ტაოს,

ხერთვის,

აღუმართავთ ხატად ღმერთის

მეფეებს და

ათაბაგებს.

1966

***

მეხის ძახილზე,
ელვის ტყლაშუნით,
ქარმა ღრუბლების ფარა მოდენა
სანაპიროზე,
და ჩაიარა...
გამთენიისას მოულოდნელად
ზღვამ ქარიშხალი
იმშობიარა.

1982

***

წლების ნაკვერცხლებს რომ ვაღვივებდი,
        უეცრად მეცა პირში მე ორნა
        და დამანახა ქვეყნად
                    რაც ვიყავ,
ახლა ვზივარ და ველი მებორნეს
სიცოცხლის გაღმა, უცნობ მხარეს,
                    როდის გამიყვანს.

1994

მამულო საყვარელო

წყალნი წავლენ და წამოვლენ
            და დარჩებიან ქვიშანი...
აღმოსავლეთით მყინვარი –
            გიზის ძახილის ნიშანი!
ჩრდილოეთით და სამხრეთით,
მთებით ხარ გამოკეტილი,
გადაჭრილი გაქვს ვენები,
    სისხლისგან ხარ დაწრეტილი,
ნიკოფსიას და დარუბანდს
            ტირიხარ...
                მაგრამ ვერ ტირი,
თუმც ... დავით მეფის აჩრდილი
    თავს გადგას ნათლის სვეტივით...

1994

***

იყო მტრისაგან დაჩაგრული...
აწ ვერ
გააპარტახებენ...
და ვით დედას,
მტკვარს, თბილისი,
ხიდთა ცისფერ არტახებით,
ქვის აკვანში ჰყავს ჩაკრული.

1966

***

მოყვასო ჩემო,
მიბაძე ფრინველს,
ყოვლის შემოქმედს
თავს ნუღარ ადრი,
შეხე ჩიტუნას:
წყალი დალია
და ცას ახედა –
მამა უფალს შესწირა მადლი.

1962

***

სადღაც მეხი სივრცეს არყევს,
მთათა დევებს,
ელვის ისრებს
სტყორცნის და ცლის
შავი ღრუბლის თეთრ კაპარჭებს,
მოვა ღამე და დახეულ ცას
იდაყვზე –
დააკერებს მთვარის ნაჭერს.

1959

***

ბნელმა შთანთქა სანაპირო,
არ კრთის შუქურ-ნათურა,
არ ჩანს გზა და მანძილი,
ელვა...
წვიმა...
ქარიშხალი,
ერთმანეთში ჩახლართულა
ზღვად,
გორდიას კვანძივით.

1979

***

ჯვრებს ებჯინება და მაინც ლოდებს
ფეხს წაკრავს დღე და...
მიდის ბორძიკით...
თან ახლავს ბედი,
და ბედის წერაც,
და ახალ გაჭრილ მიწის ბორცვს იქით,
სიკვდილი ზის და არ მაშორებს
ქვისმხვრეტავ
მზერას.

1993

***

სადღაც,
    სიშორის ველზე მოსახლეთ,
    ვუმზერ მნათობებს,
                ვით მიზანთროპებს,
თუმც ნახვის ნდომით კვლავ
ვიმსჭვალები,
და დღე და ღამის
                ამბრით მათრობენ,
მზის მინდვრები და მთვარის ჭალები.

1958

***

არის შეხლა და შემოხლა,
ჯარი დგას
დაფნის მდომელთა
(და ჰა, მეოცეც გავიდა),
პოეზიის ცა,
რომელთაც,
არც დაუნახავთ თვალითაც.

1994

***

ცის შვილებია –
ეს თეთრი ღრუბლები,
მზე რომ მიიცვლება,
შავებს რომ იცვამენ
და დასახრჩობად ზღვაში რომ ჩადიან,
მაგრამ ო, არა,
ცის სახელს ფიცავენ,
იქ იშვნენ,
სიკვდილიც ზეცაში სწადიათ.

1961

***

ჩემი კოლხეთი ოქროს საწმისით
ამოთავთავდა სიხარულით
და მწუხარებით,
და ათასეულ წლების იქიდან
ბღავილი მესმა აიეტის
რკინის ხარების.

1991

აჭარაში

ვჭვრეტ მინარეთს და...
მწვავს აგონია,
რომ ქართლს უცეცხლოდ
და უმახვილოდ
იპყრობს თათარი ტკბილი სიტყვის
ლიქნით
და
ბუქნით,
და...
დავით მეფის განწირული მესმის
ძახილი:
– ტაოსკარს მოადგნენო თურქნი!

1995

ხეთა

კეკლუცობს სიმწვანე დაფნების,
კოლხური ცის თაღი აყვავდა,
დაფნარი მეძახის,
ვით პოეტ დაფნარელს,
მე გავექცევი მიწის ყაყანს და
ცის ლურჯ სიმშვიდეს
თავს შევაფარებ.

1987

***

ცხელ ნაცარში გახვეული
    წინაპართა ხსოვნის ღველფი
        ჰქრება,
        ჩვენ რომ ცეცხლად გვენთო,
და...
    დღეს მეფე აღარ მეფობს,
და...
    დღეს ღმერთი აღარ ღმერთობს.

1995

***

დუმს მამადავითი...
                  მე ვხედავ:
                        მეტეხთან
            და მადათოვთან,
მთვარე,
            ვით იხრჩობა მორევში –
                        მნათობთა.

1964

ვით ანტიგონე

სამყაროს შენთვის იქცა აკლდამად,
შიგ შემწყვდეული,
ვით ანტიგონე,
რასაც თესავდი, ისევ მას მკიდი,
შეხე,
ბეჭედზე ციცქნა სტრიქონებს,
უბრწყინავთ თვალი მარგალიტის
და მალაქიტის.

1994

***

მოულოდნელად გადახნული ელვის
სახნისით,
ცაში ღრუბლების
ყრია ბელტები,
სიშორეს ისევ რეკენ ზარები:
სიმყუდროვეში
მდგარ პლანეტების,
ცრუვარსკვლავების
და კვაზარების.

1995

კოლხეთი და იბერია

სადაც ქვეყნის გასაგონად,
“ოდოია” მიმღერია,
ზღვის ნაშობი ტყუპისცალი
კოლხეთი და იბერია,
ჩემი ტკბილი სიყრმეა და
ჩემი მწარე სიბერეა.

1993

***

ტიტლიკანა ვარსკვლავები,
შემოუსხდნენ ღამის
კერას,
ხელთ აქვთ მთვარის კითარა,
ზღვა –
კვლავ იცვამს ქარის პერანგს,
ტალღა –
ქაფის წვრილთვალას.

1967

***

შავი ზღვის ოქრონარევ ქვიშაზე,
ბრწყინავს და ელავს
მზის მარმაშები,
ციდან ღრუბლები ამოთხრილან,
პოსეიდონს კი ქარის ეტლზე ზვირთთა
რაშები
შეუბამს...
და დაჰყავს ზღვაზე
დაოთხილი.

1990

***

ათასწლეულთა შიშით,
ლოცვებით,
და პლანეტების ციურ ნამტვრევით,
სავსეა მთვარე –
ღვთის თავის ქალა,
მოკვდავები კი აცამტვერებენ
ცას
მარადიულ
ღმერთების ქალაქს.

1971

***

კანკალებს ქარი...
ჩაქრობის შიშით.
მიწას გართხმია ლანდები ხეთა,
არ უთესია არყოფნას, მაგრამ
ყოფნის ყანაში მოსავალს იმკის,
და ამ მილეთში არავინ ხედავს,
აქვე, ჩვენ გვერდით ატუზულ
სიკვდილს.

1993

***

რაც ნაღდია და ქართული,
არა,
ზღაპარ, მითებისა,
დღემდის, ჩვენთან
მოიტანა
“ძელმა
ჭეშმარიტებისა”.

1992

***

ჩვენ გვეჩვენება:
                    როდესაც ბნელა,
ცას მიკარგული პატარა მთვარის
ჩვენამდე დიდი ჩამოდის სითბო,
ღმერთიც ელვის ხელს
                    ისე ჰყოფს გარეთ,
თითქოს და ერთ პეშვ ლოცვასა და
შენდობას
                    ითხოვს.

1976

***

ბედუკუღმართ ჟამთა სუნთქვას,
ისტორია ვეღარ მალავს,
ვისმენ ომებს გარდასულთა
და ერზინკის ვხედავ სულთანს,
თამარ მეფის გაყიდულს
ერთ ცხენის ნალად.

1958

***

ცის ვრცელ მინდორზე –
ღამე გლეხივით,
ვარსკვლავთა მარცვალს თესავს და აპნევს
და თოვლის რძეში
ნაბან თეთრ აპნისს,
ტანზე საამო უდის სურნელი
მურის და კესის
და მარწყვის საპნის.

1958

***

მოხუცი მეფე ირაკლის
ბრძოლის ყიჟინა
არ ისმის,
და თავს იწონებს ღალატი,
ფარი სამასი,
ვით თასი,
წინ უდგათ გმირებს კრწანისის
აღსავსე შხამ-
სამსალათი.

1994

თბილისი – 92

ქუხს ქვემეხი რუსთაველზე,
ცეცხლად მისდევს ჭურვებს
ჭურვი,
დეკემბრის თვის მზიან დილით,
თათარი შემოგვესია?! –
მეფე ჭმუნვით,
კითხულობს და... მეტეხიდან,
გადაჰყურებს დამწვარ თბილისს.

1992

***

ცის რომ ჩამოიქცა ბანი,
გაერია მთებს ჭადარა,
მაშინ წვიმამ ელვის დანით,
სივრცეს ყელი გამოღადრა,
გადმოდინა ცისარტყელა –
სისხლის ღვარად.

1989

ზღვა და მდინარე

სანამდის უდგას სული ქარიშხლის,
აღარ ასვენებს ცასა
და ხმელეთს,
ხმობენ ღრუბლები დამეხილი და
დაწყევლილი,
და, ზღვა,
როდესაც შეახებს ხელებს,
მაშინ მდინარე,
განუტევებს სულსაც მწყერივით.

1987

***

გიორგი შათირიშვილს

ქართველმა ხელი ხმალს იკრას,
ჩოხის კალთა აიკვალთოს:
თქმულებებით,
ლეგენდებით,
მიტომ ჰკივის
დღეს იყალთო,
და გელათის ქვის კედლები.

1992

***

აელვარებენ ვარსკვლავები
ოქროს სამხრეებს
და დარაჯობენ სივრცეთა კარებს,
სიშორის ტოტზე ბრწყინავს ნეონი,
და მნათთა სისხლით მორწყულ ცის ველს
მწუხარე მთვარე
გასცქერის ისე,
ვით ვატერლოოს
ნაპოლეონი.

1970

***

კოლხთა ზღაპრულ წარსულიდან –
ბღავილი სულ მესმის
ვერძის,
ზაფხული თუ ზამთარია,
და...
მე სიტყვის დევებს ვებრძვი,
ბაყბაყსა და ცხრათავიანს.

1988

***

“როდესაც მოწყდება ციდან
ვარსკვლავი,
რის ჩათქმასაც მოასწრებ ის
ასრულდება”.

დედის შეგონება

ბრწყინავს და ელავს მნათთა სვეტები,
ზეცა ჩახჩახებს ქარვასლასავით...
მზის შესახვედრად მიიჩქარის
მთვარე –
ჩაუქი,
და... აჰა, უცებ მოწყდა ვარსკვლავი,
დედა! –
ცხონება შენი ჩაუთქვი.

1983

ჭიუხებს, ეხებს

მოკვდავთა ყაყანს გამოქცეულ
ამაყ მწვერვალებს,
თოვლის ქათქათა სიზმრებში მძინარ
ჭიუხებს,
ეხებს,
რომ ნაპრალზე დაუსხლტება
ყინულზე ფეხი,
მისი წუხილი თუ აღვიძებთ ათასში
ერთხელ.

1978

***

ჩემს ცაზე აღარ გამოიდარა,
  და სოფლის ანჩხლი
                ნაგაზებივით,
შავი დღეები მდევენ მყეფარი...
    და მე გავრბივარ,
                სადმე ზღვისკარად,
უკვდავების ხეს ამოვეფარო.

1978

***

მე, პოეტ, თუნგუთინ ცოოდოლთან,
მონღოლურ არყით და
კუმისით მნათლავენ,
აი, აქ ძველ ულან-უდეში,
ყინვის ყივილით მოდის ზამთარი
და ჯდება თოვლის ქათქათა ბუდეში.

1982

გულწითელები

სიშორის ფრთებით ცად აფრენილან
(ფრენა ყოფილა მათი სურვილი),
და,
აი, ახლა ციდან გვათბობენ...
და გულწითელებს –
ღამის ტოტზე დამსხდარ მნათობებს –
მკერდები უჩანთ ოქროსცურვილი.

1972

***

ზღვა ღელვას,
თითქოს მას ახსენდება,
სულ ჩალისფასად გაყიდული
სისხლი და მოდგმა,
მე კი მგონია ამ გახსენებით,
ტალღები კოლხი დედების მოთქმას
თურქეთისაკენ მიასვენებენ...

1978

***

სხივთა მარცვალს თესავს ირგვლივ,
არცა ზომავს,
არცა წონის
და ქალწული ცა დილ-დილით,
ბაჯაღლო მზის იდგამს
გვირგვინს,
მიჯნურ მიწას თავს აწონებს.

1988

***

სიმღერამ ჩემმა –
მგალობელმა პატარ ჩიტმა,
არა ვედრებით
და არც მუდარით,
არამედ, ზღვაო,
ქარიშხალთან შეუპოვრობით,
იპოვა შენში,
მარადისი ნავსაყუდარი.

1991

დღის მიძინება

ბრძოლით დაღლილი, ვით წინაპარი
    დღე,
            შემოსძახებს
                ცისკრისას "ლილეს",
მერე მწუხრისას, გადაიცვამს ნისლის
ახალუხს,
ჩაიწყობს მნათთა
            მოვერცხლილ ქილებს,
მოხრილ მთვარეს კი დაიკიდებს,
                როგორც სატევარს
და ზღვაში ჩავა ღამის სათევად...

1958

***

წარსულში არა,
აი, ახლა,
თათრის “ყეინმა”,
ნადარისა და დაფა ზურნის
ველურ ჭყივილით,
ორთაჭალაში ჩაიარა კვლავ არხეინად,
. . . .
ეჰა, თბილისო!

1994

***

ცამდე მაღალი
    და მკერდფიქალი,
        მორთული მნათთა ოქროს
    მძივებით,
როცა გულგრილად დრო-ჟამს ჩაუვლის,
მაშინ მე ვფიქრობ:
                არ იცის ღამემ,
თუ რა ლამაზი აქვს სამკაული.

1988

***

არაბებივით შავი ღრუბლები,
კვლავ ამოდიან ზღვიდან
ორსული,
გზა და გზა წვიმის ნაწნავს იწნავენ,
ადუღებულა და
გადმოსულა,
მთვარე –
ცის ქვაბში რძისებრ მიმწვარა.

1964

თებერვლის ღამე

მონადირეს ქარვასლიდან
                    დევის ქალი გაპარვია,
თოვლი –
        უცებ მოუშვია
მთას –
        წვერივით,
                  და ეს ღამე –
სიყვარულის ზღაპარია,
                    ცის ეტრატზე
ვარსკვლავებით დაწერილი...

1966

***

მარადჟამს იყო ჩემი მხლებელი,
ვით რუსთაველი,
პონტო ევქსინის,
და ჰომეროსი –
ღმერთი ელინთა,
აი,
ამიტომ აქილევსივით,
ძლევამოსილი გამოვსულვარ ბრძოლის
ველიდან.

1994

ორთაჭალის გახსენება

არც კიტრი და არც მოთალი,
        და არც ტივით ლოპიანა,
                არ ჩანს...
მოაქვს ქარს საარი,
მტკვარში კვლავ სცემს ბოლთას ჭავლი,
მაგრამ ბადი არსად არი,
    ორთაჭალის.

1967

***

შავმა ჟამმა გარდასულმა
წამით მიძმო და მიშვილა
და რომ მესმა:
“ვოუ ბატა!”
თვალმა ცრემლი მოუხშირა,
გულმა ცემას მოუმატა.

1992

***

ჩამომჯდარან...
და ჭილის ჩელოზე,
ჭრიჭინობლები ღამეს უკრავენ,
უდგათ ტაროსი,
ხოლო ცაზე კი სტეპაკი და უნეტარესი,
მთვარე მობრძანდება,
და მოჰყვებიან ვარსკვლავები,
როგორც გრანდები.

1991

***

უხილავი და ყოვლისმხილველი,
სანამ მეტყოდეს:
ადე,
გაგვიძეხ! –
დიდ სამჯავროზე ხარ მიწვეული,
მანამ მწყემსივით
გამოვაღვიძებ,
ლერწამში მძინარ ათასწლეულებს...

1995

***

მთვარე ხელისგულზე უდევთ
ლანგარივით
    და თეთრი წინსაფრიანი ნუშები
        ნაპირთან დგანან,
            ვით სტიუარდები,
ცა წარბს ხან გახსნის,
            ხან იდუშება,
ზღვა,
    მიწას სიყვარულით ფეხებში
            უვარდება.

1979

***

სიტყვის ქვით ვაშენებ
                  და ვბაძავ
          შენობებს მიკენში ნაგებს,
          ბუმბერაზთა შიშმაც იკლო,
და ვუხმობ სამივე ციკლოპს:
          ბრონტოს,
                  სტერაპოს,
                  არგესს.

1966

***

სასაცილოა მათი ქვეყანა,
ისინი წყენის წვეთს
არ ირევენ,
რა ვქნა,
არ მომწონს
სოფლის მდურება,
თანდაყოლილი "სიბრძნე" ვირების
და ყვავ-ყორნების
მედიდურობა.

1987

პარას ჭალაში

ხობის წყლის პირას,
                პარას ჭალაში,
                ხე იდგა წყავის,
რომელსაც თავზე თუშურ ქუდივით
                ეხურა ბუდე
                ბებერი ყვავის,
. . . .
პარას ჭალაში ხე იდგა წყავის.

1962

***

ღამე ჩამდგარმა რწმენის სარკმელმა
(ლოცვა-ვედრებით,
ვით ცამეტმა მამა ასურმა),
თვალთ მზე ჩაისხა და აახილა,
მაინც მიუვალ მთაზე პარნასის,
ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე,
პოეზია –
რომ ჰქვია სახელად.

1994

პოეტი არწივი

თავს დასტრიალებს მთებს და ჭიუხვებს,
ხმა გამყივარი
ისმის არწივის,
ამომავალი მზისებრ ელვარე,
რომელიც მზერას ვეღარ აცილებს,
მარადისობის
ცისფერ მწვერვალებს.

1968

***

ვის მოუხმობენ ზარები მწუხრის,
ან გაზაფხული ლურჯ ია-იებს,
ვის მივიწყებულ საფლავზე აკმევს,
რომ ხსოვნის ოქროს ნაკვერჩხლები
აღარ მინავლდნენ...
და ან, ვის ურწევს ვარსკვლავების
ვარდისფერ აკვნებს
ღამე,
დილამდე?!

1960

***

გამოვეპარე ათასწლეულებს
                  და საესავით...
                  და საფიცარით,
უდაბნოს ცხელი გზები გავთელე...
და ვითარც მოსეს,
          მეც მიბოძა
                  "სჯულის ფიცარი",
ღმერთმა წარწერით: "იქმენ ნათელი!".

1993

***

მეტეხიდან გადმომდგარა გორგასალი
და თბილისი მზით ირთვება,
ახლავს ძველი სიხალისე,
და... ჩავლილი მტკვრის ზვირთები,
კვლავ იღრეცენ უკან კისერს.

1961

***

თოლიების მოთქმა და ქათქათი
ნაპირს ეფინება ბოლივით
და დრტვინავს სტამბოლი,
ზღვა მხართეძოზე წამოწოლილა,
და გემს ყალიონივით აბოლებს...

1989

ნერვალი და ლამარტინი

გაზაფხულის შესახვედრად
ქარებს გაჰყვა თებერვალი...
და გვიგზავნის სუსხს
მარტივით:
“მარტოობა” –
დე ნერვალის,
“მორჩილება” –
ლამარტინის.

1967

***

ფრთებით რომ იქნევს ათასწლეულებს
                  და პონტოს ზღვაზე
                  რომ დაფარფატებს,
ქარიშხალაა,
                  და ან თოლია?
არა,
    ეს არის სული ევფრატის,
                  ან უძველესი ანატოლიის.

1959

ბაზალეთი – 1626

სიკვდილმა მახვილი ცივ გულზე ალესა
და შემოდგომის დღე
ცივად გათენდა
(ძმავ არ მეგონა, ძმის სისხლს თუ
დალევდი),
მე, წყალი მეგონა
ტბა ბაზალეთის,
თურმე ის, სისხლია ქართველთა.

1993

***

ლოცვებით სავსე ზესთა სამყაროს
    მეტეორებით წითლად გახლეჩილს,
    ღვთიური ცეცხლი ცვივა მუჭიდან,
ზის დედამიწა დღე და ღამის სრა-
    სასახლეში
    და...
    ცალი თვალი ცისკენ უჭირავს.

1987

***

შენ ერთი მყავხარ ქვეყნად იმედად,
რადგანაც მხრებზე მაწევს
ღამის შავი სიმძიმე,
მაგრამ სიმღერა ჩემი მაინც ბრწყინავს...
ციმციმებს,
რადგანაც უხვად გამოიმეტა:
ზღვამ – მარგალიტი,
მიწამ – ოქრო,
ცამ – ვარსკვლავები.

1989

***

მუზას ტყვედ ვყავდი,
ვით ლეკებს დავით,
ღამე ხარობდა...
და გამთენიისას –
მამლების ყივილზე,
ფიქრების ხაროდან
ამოვედი და დავაღწიე ტყვეობას თავი.

1986

***

სხეულში მედგა სული ქარიშხლის,
ზღვის სიძლიერე და
სიდიადე,
ვიყავ მაღალი და ამბოკარი,
სიცოცხლით მთვრალმა,
მხოლოდ ერთხელ
ღამის წყვდიადში,
უფსკრულთან სიკვდილს თვალი მოვკარი.

1968

***

თეთრითმოსილი ბაბუაწვერა,
სადღაც ნიავის მიქრის
ტაიჭით
და გადაევლო ჭონტოს წინ დამბას,
უეცრად ელვის სამართებლით
ცა თითს გაიჭრის,
ქარი,
წამს ღრუბლის დაადებს ბამბას.

1954

***

დაღლილმა და დაქანცულმა
            და მოსულმა შორი გზიდან
მტკვარმა, როცა ჩაიძინა
    მეტეხთან თუ მახათასთან,
            მცხეთას –
                ელვამ ჩაიცინა,
            წნორში –
                მეხი ახარხარდა.

1966

***

გარდასულ ჟამთა უამურ ამბავს,
ისევ ფარავს ზღვის
მაღალი მკერდი,
თუმცა მის მდვრიე ტალღებში მოჩანს:
თმა გაწეწილი
კივილი დედის
და ხელგაკრული ხვიჩა და გოჩა.

1982

***

აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას

შორეული წარსულიდან
კოლხო!
შენი ხმები გვესმის:
“ოდოიას” გუგუნში და ღვთიურ
ჰანგში
ხვნის და თესვის,
დღე და ღამე კვლავ დაგეძებთ
ფარნით, ვითარც დიოგენი,
მაგრამ ყველგან ვარჯს ვპოულობთ,
ფესვს კი ვეღარ მივაგენით.

1959

***

იმედიც კი არ არსებობს,
სულ ფიორი,
ერთი მუჭა
(რაც რომ გვქონდა, იგიც მოთხრეს),
ვინც იქ თვალებს
დაგვიხუჭავს,
რომ გვანახებს იქ სამოთხეს.

1989

ორი სალამური

(არჩილ მიშველაძეს)
...იქ, ერთი ისეთი ალვის ხე იდგა, რომ
იმისწვერი ცასა ხევდა, შესვა ზედ, მისცა
ორი სალამური".

წიქარას ზღაპარი.

იქ...
ალვის მაღალ ხეზე შემჯდარი,
მზისა და მთვარის უკრავ სალამურს...
და ესმის მამულს –
შენს მხსნელ წიქარას,
და უკვირს:
ასე პატარა ბიჭი,
სიცოცხლეს არა, სიკვდილს როგორ
გამოეპარე...

1994

***

ღრუბელთ შავი ზერდაგები,
აღარ დგანან ცად
ოცნებად,
მაგრამ დილით, როს ინათებს,
ერთი მაინც გამოჩნდება,
შორით,
როგორც როსინანტი.

1964

ქვის ყდიანი წიგნები

აუ!
    რამხელა რიგებია,
    სასაფლაოსთან გაწელილი,
ჩვენც ამ რიგებში მოგვიწევს დგომა,
                    გვიან თუ ადრე,
და ჩვენს ძვირფას მკვდრებს გულზე რომ
    ადევთ,
        ლოდები არა,
        ქვისყდიანი წიგნებია,
    სიკვდილის ხელით დაწერილი.

1987

***

როცა მთვარე შუქნათელი,
ამოვიდა ღრუბლის შავი დილეგიდან,
    მაშინ ღამემ,
        პირმშვენიერ
                    დილის კართან,
კვლავ ჩაიწყო მნათობების ქილები და,
აიკეცა შავი ჩოხის შავი კალთა.

1977

***

ადარ მშორდება...
    თუმც გასულა ორმოცი წელი:
    ვსადილობთ,
            გვიდგას გრძელი ტაბაკი,
ომია...
    ყოფნა ახლა არა,
            მანამდეც სჭირდა,
შია და დედას უხმობს კირიბი,
თხის,
    ჩაცივებულ მაწონს იღებს
            მშობელი ჭიდან,
მერე ჭრის დანით და ცივ მჭადთან
            ბავშვებს გვირიგებს.

1982

***

შემოეჩვია საქათმეს ტურა,
ვით ბრძოლის ველზე
ხმალ-ხანჯალი,
ყრია ბუმბული,
დეზებიანი ჩემი მამალი,
მუდამ ამაყი და თავმომწონე
ეზოს შუაგულში დგას
უამალოდ
და ვითარც ციხეს,
ქონგურზე უნთია კოცონი.

1955

ცა

დასაბამიდან გრიგალები ცას სისხლს
უშრობენ,
ყორნისფერ ღრუბელს მწევრებივით
მუდამ ასევენ, ცაზე მთვარე დგას,
და დაგვცქერის
ნიამორივით,
ზღვა წარმტაცია,
მიწაც ასევე,
მაგრამ, ძვირფასო,
ცა ღირს ორივედ.

1993

* * *

მილიარდობით ბელტთა,
ისმის ცისქვეშ ყაყანი...
(რის მანი და რის კაფკა.)
უფლის სასუფეველში –
უკვდავებმა მოკურცხლეს.
და შენ უღრანს მიკაფავ
დუ ფუს, ლაოს,
კონფუცის.

2000

ვით რეა და ენლილი

მითებად და ლეგენდებად,
წუთისოფლის გზებს ივლი,
რადგან ქარობ და
გრიგალობ.
ვითა რეა[1] და ენლილი[2],
მთა რომ ხარ და
მით გიგალობ.

1988

[1] რეა – ღმერთთა და ადამიანთა დედა.
[2] ენლილი – შუმერთა უზენაესი ღვთაება.

* * *

ცის დაფაზე დაწერილი,
ბედისწერის სამართალი,
არ ესმოდა მეფის ყურებს.
„ციურ ბატონს“ არ მონებდნენ
პინდარეც და
ეპიკურეც.

1976

სარჩევი

ერთი პოეტი 25
*** მთვარესავით სულ ივსება... 26
*** შიშვლები მყავს 27
მკვდრის მზე.....28
*** მაღლა მიიწევს... 29
*** ქვემეხივით დგას ურემი... 30
*** ყინვის ზანზალაკებით 31
*** აზრს შებმული სიტყვის რაში 32
ქედები.....33
*** ელვის ვარდისფერ... 34
ბორგავს ენგური... 35
*** თავზე ეხურა თოლიების... 36
*** ხშირად ვუსმენდი... 37
*** ზღვა მუშტებს იშენს.....38
*** ცაცხვების ხისქვეშ.....39
*** ჩემი ფრთებდამწვარი... 40
*** სიცოცხლე.....41
*** დოფაჩილთან ხე წიფელის.....42
თაბორი.....43
*** ოქროს მთიებით... 44
*** ის გათენდება სამარადისოდ 45

*** უხარია და ეფინება გულზე... 46
ქრისტეს მსახურნი 47
*** არა 48
ქალაქელი გოგო.....49
სოფლად.....50
*** საცეცხლურს მწუხრის... 51
*** ზღვას ვუხმობ.....52
არწივის ფრთის ვისმენ... 53
*** იწვა ქარიშხლის... 54
ნათელხილვა 55
*** ღამეს.....56
*** შუაღამისას სულ... 57
*** დუმორეული და სველი... 58
*** ზღვის კარებს, ვითა... 59
*** ლურჯ გობელენზე 60
*** ვარსკვლავების... 61
*** ცა ელვის მათრახს... 62
*** დავიწყებისკენ ეზიდებიან 63
სიხარულის მეორე... 64
*** ამ ლიფსიტა... 65
*** ჟამთა ბრუნვამ ვერ... 66
*** ცის ქუხილი მივამსგავსე 67
ცა გმირთა სასაფლაო 68

იმედი 69
*** იქ ვსახლობ 70
წინანდალში 71
*** სიცოცხლით და... 72
*** აქ, მატარებელს 73
მაინც 74
სიყვარული 75
*** მზე ჩაბუდებულ თვალებში 76
MEDIUS 77
*** იმედებით შებუმბლული 78
*** ცამეტ ვერცხლად... 79
*** სანაპიროს სველ ქვიშაზე 80
*** ჯერაც უთქმელი... 81
*** შეუბამს ღრუბლის... 82
აპრილის ქარი 83
*** მორჩა... 84
სურათები 85
*** ვეებერთელა ზღვის... 86
*** წყვეტენ და... 87
*** წყაროს არა 88
კაი ყმა 89
*** თებერვლის ქარი უბერავს 90
*** შენი ლექსი... 91

*** არგო არ ჩანს... 92
*** ციხე-კოშკებთან მთები... 93
მუზას 94
*** არასოდეს გიფიქრია.....95
*** პირთამდე სავასე... 96
*** რჯულმტკიცე... 97
*** შორით მოსული ექო.....98
უქარქაშო ხმლები.....99
მეფე ერეკლე.....100
კახაის კოშკი 101
*** ალილუია.....102
*** ზოგს მინდვრის ყვავილით.....103
*** ნუთუ იმასაც ჩვენებრ... 104
*** მზის და სიმაღლის... 105
*** მზე კოცნის... 106
*** ზღვა 107
*** პურს თესავ და... 108
*** მზის გვირგვინოსან... 109
*** წყალში ვერ ძლებენ... 110
მღვიმეში 111
*** ადამის ძეთა ყოფნას... 112
ქვები.....113
*** მე მჯერა უფლის... 114

*** მაყარ მნათთა... 115
ზურაბ და დაჩი.....116
*** “პოეტთა მეფეც” 117
*** აფრის ტკაცუნში.....118
*** ღრუბლებით აქა-იქ... 119
*** არის შეჯიბრი მეტეორების.....120
ქრისტე.....121
*** უნთია ლექსი... 122
*** მოულოდნელად... 123
*** ალბათ ჩემს გარდა იცის 124
*** ვითარც ქართველი... 125
დღე შემოდგომის.....126
*** ისევ უსხედან ცის... 127
*** მაღალ მთაზე უდევს კუდი 128
*** ციცინათელას კვეს-აბედით 129
*** ზღვა ძლიერია და ცბიერიც 130
*** ელვა გაკრთება... 131
*** ქედები ძილად... 132
*** ზღვა ვარსკვლავების... 133
*** დიახ, ცხრა და ძმის.....134
*** არ წყდება ღრუბლების... 135
*** სად ვარსკვლავების... 136
ქართლში.....137

*** ომი... 138
გაზაფხული ჰქვია სახელად.....139
*** მობიბინე ცის მინდორზე.....140
*** მხოლოდ იმ ერთმა.....141
*** მარგალიტებით სავსე პირთამდე.....142
ანაკლიის ღამე.....143
*** მოვარდა ქარი... 144
*** ფიქრი მიუწვდომელ... 145
*** საუკუნეა წიწამურს.....146
გვიძარცვავენ ისტორიას.....147
*** მზე გადამთვრალი... 148
*** ჩემს სავალალოდ... 149
*** მაისის ბაღში ყვავილები.....150
*** ბორცვს იქით.....151
*** ქვებუდანობა.....152
ვაჟა.....153
*** მოძალადემ და მოშურნემ.....154
*** ვინაც გამბანა.....155
*** ეს არსაკიძის ხმა 156
*** ასჯერ დამწვარი და.....157
*** ქარებითა და წვიმის.....158
*** მოწყენილ ციდან.....159
*** ტყის სიჩუმეში ეგდო... 160

*** სათიის ციცქნა სამრეკლოები 161
*** შეხე 162
*** მეხის ძახილზე 163
*** წლების ნაკვერცხლებს... 164
მამულო საყვარელო 165
*** იყო მტრისაგან დაჩაგრული... 166
*** მოყვასო ჩემო 167
*** სადღაც მეხი სივრცეს.. 168
*** ბნელმა შთანთქა სანაპირო 169
*** ჯვრებს ებჯინება და... 170
*** სადღაც 171
*** არის შეხლა და შემოხლა 172
*** ცის შვილებია 173
*** ჩემი კოლხეთი ოქროს... 174
აჭარში 175
ხეთა 176
*** ცხელ ნაცარში გახვეული 177
*** დუმს მამადავითი... 178
ვით ანტიგონე 179
*** მოულოდნელად გადახნული... 180
კოლხეთი და იბერია 181
*** ტიტლიკანა ვარსკვლავები 182
*** შავი ზღვის ოქრონარევ... 183

*** ათასწლეულთა შიშით.....184
*** კანკალებს ქარი... 185
*** რაც ნაღდია და... 186
*** ჩვენ გვეჩვენება.....187
*** ბედუკუღმართ ჟამთა... 188
*** ცის ვრცელ მინდორზე.....189
*** მოხუცი მეფე ირაკლის.....190
თბილისი – 92.....191
*** ცის რომ ჩამოიქცა ბანი.....192
ზღვა და მდინარე.....193
*** გიორგი შათირიშვილს.....194
*** აელვარებენ ვარსკვლავები.....195
*** კოლხთა ზღაპრულ... 196
*** ბრწყინავს და ელავს... 197
ჭიუხებს, ეხებს.....198
*** ჩემს ცაზე აღარ გამოიდარა.....199
*** მე, პოეტ, თუნგუთინ... 200
გილწითელები.....201
*** ზღვა ღელვას.....202
*** სხივთა მარცვალს... 203
*** სიმღერამ ჩემმა.....204
დღის მიძინება.....205
*** წარსულში არა.....206

*** ცამდე მაღალი.....207
*** არაბებივით შავი ღრუბლები.....208
თებერვლის ღამე.....209
*** მარადჟამს იყო ჩემი... 210
ორთაჭალის გახსენება.....211
*** შავმა ჟამმა გარდასულმა.....212
*** ჩამომჯდარან... 213
*** უხილავი და... 214
*** მთვარე ხელისგულზე... 215
სიტყვის ქვით ვაშენებ.....216
*** სასაცილოა მათი ქვეყანა.....217
პარას ჭალაში.....218
*** ღამე ჩამდგარმა რწმენის... 219
პოეტი არწივი.....220
*** ვის მოუხმობენ... 221
*** გამოვეპარე ათასწლეულებს.....222
*** მეტეხიდან გადმომდგარა... 223
*** თოლიების მოთქმა და... 224
ნერვალი და ლამარტინი.....225
*** ფრთებით რომ იქნევს... 226
ბაზალეთი – 1626.....227
*** ლოცვებით სავსე ზესთა... 228
*** შენ ერთი მყავხარ... 229

*** მუზას ტყვედ ვყავდი 230
*** სხეულში მედგა სული... 231
*** თეთრითმოსილი ბაბუაწვერა.....232
*** დაღლილმა და დაქანცულმა 233
*** გარდასულ ჟამთა... 234
*** შოორეული წარსულიდან.....235
*** იმედიც კი არ არსებობს.....236
ორი სალამური.....237
*** ღრუბელთ შავი ზერდაგები.....238
ქვის ყდიანი წიგნები.....239
*** როცა მთვარე შუქნათელი.....240
*** აღარ მშორდება... 241
*** შემოეჩვია საქათმეს ტურა.....242
ცა.....243
*** მილიარდობით ბელტთა.....244
ვით რეა და ენლილი.....245
*** დავაზე დაწერილი 246

მისალოცავი წერილი

"ევროპული ფესვებიანებისა" 100-ამოვლენილი
ავტორი, ერისმოყვარე პოეტი ნოდარ ჯორბენაძე,
ქართული ენის ლექსიკონი, ლექსიკონებისა სიტყვა
ნიადაგ, ეტიკეტებისა ვაჟა ფშაველა ეროვნული
ბიბლიოთეკის „ეროვნული ენციკლოპედიის"
ლიტერატურული ბ-ნ ბეთა ხუციშვილის ერთ-ერთ
ყველა თანამშრომლის, ასევე ფონის ლეონიდეს
ნაგლაძისადმი ერთ ერთ ადამიანურად ფაქიზ ყურადღებიანი.
ჯ-ნ ნოდარ ლეონიდეს, ეროვნულ ენციკლოპედიაში 100-ამ...
ვლენილ ცალკეულ ავტორს ბედნიერი ეროვნული
თანამოქალაქისა ვთქვა.

„ეროვნული ენციკლოპედია"

2020 წ.

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 29

VAZHA EGRISELI

"KOLKHURI PHSALMUNEBI"

ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 29

გამომცემლობის	
რედაქტორი	– ნიკო ხერკელაძე
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– იამზე რობაქიძე
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com